თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5678713

ნომერი: AR1855213

თარიღი : 08.10.2021

გაცემის თარიღი : 10.11.2021

გაცნობის თარიღი : 10.11.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გ. ჭყონდიდელის ქუჩა , N 22;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა გოგრიჭიანი პ/ნ 12001014132
- თბილისი პ.იაშვილის ქ. N 23

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 10 თებერვლის №5255483 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 08 ოქტომბერს №AR1855213 განცხადებით მომართა კობა გოგრიჭიანმა და მოითხოვა სამსახურის 2021 წლის 10

თებერვლის №5255483 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 10 თებერვლის №5255483 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, გ. ჭყონდიდელის ქუჩა №22-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.12.024.195) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 10 თებერვლიდან 2021 წლის 10 ივლისის ჩათვლით.
სამსახურის 2021 წლის 22 აპრილის №5378528 და 2021 წლის 30 ივლისის №5528136 ბრძანებებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 10 თებერვლის №5255483 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატა საზაფხულო ფართობი: 841.01 კვ.მ., ხოლო საერთო ფართობად დაფიქსირდა: 7470.3 კვ.მ. ამასთან, აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული -6.10, -3.15 და +33.80 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდა 2021 წლის 13 აპრილის №AR1817303 და 2021 წლის 01 ივლისის №AR1835278 განცხადებებზე წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გეგმებით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 10 თებერვლის №5255483 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, ფაილის მიმაგრების ველში ატვირთული მაჩვენებლების მიხედვით საზაფხულო ფართობი 841.01 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 1039.56 კვ.მ., დამხმარე ფართობი 253.89 კვ.მ-ის ნაცვლად 16.99 კვ.მ., სპორტული მოედნის ფართობი 175.9 კვ.მ-ის ნაცვლად 216.92 კვ.მ., საერთო ფართობი 7470.3 კვ.მ-ის ნაცვლად 7472.97 კვ.მ. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმა შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ფართობები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ გეგმარება არ იცვლება, ხდება მხოლოდ გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 10 თებერვლის №5255483 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საზაფხულო ფართობად დაფიქსირდეს: 1039.56 კვ.მ., დამხმარე ფართობად: 16.99 კვ.მ., სპორტული მოედნის ფართობად: 216.92 კვ.მ., საერთო ფართობად: 7472.97 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 10 თებერვლის №5255483 ბრძანებით შეთანხმებული (მათ შორის, სამსახურის 2021 წლის 22 აპრილის №5378528 ბრძანებით ჩანაცვლებული) -3.15 და 0.00 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გეგმით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 10 თებერვლის №5255483 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 10 თებერვლის №5255483, 2021 წლის 22 აპრილის №5378528 და 2021 წლის 30 ივლისის №5528136 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.